პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ სამშაბათი 23 მაისი 1978 წ. □ № 120 (17164) □ ფასი 2 კაპ.

სწრაფი ტემპი და ხარისხი — საგაზაფხულო სამუშაოებს!

ყოველი დღე, ყოველი საათი — მინდვრად, გაღ-ვენახებსა და პლანტაციებზე!

ხანგრძლივი ავდრის შემდეგ გამოიდარა, და სოფლის მშრომელებმაც შვებით ამოისუნთქეს. სასარგებლო ტრადიციის მიხედვით, ქალაქის მშრომელები უანგაროდ ეხმარებიან სოფელს. მათ კარგად იციან, რომ შაბათობის დროს დაგროვილი საკვები ხვალინდელი ხორცი და რძეა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს სოფლისა და ქალაქების მშრომელებისადმი, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, ძირუტყვის საკვების დასაგროვებლად, 20 მაისს მოწყობილიყო პირველი შაბათობა, რესპუბლიკის ყველა მშრომელი ერთხმად გამოეხმაურა.

გასულ შაბათს ათიათასობით თბილისელი, ქუთაისელი, რუსთაველი, გურჯაანელი და სხვა ქალაქების მშრომელი გავიდა ბალახის სათიბად. ერთ დღეს დიდძალი მწვანე საკვები და თივა დამზადდა.

20-21 მაისს მოეწყო ვენახების რესპუბლიკური დათვალიერება. წინასწარი ცნობებით, კახეთის, ქართლისა და იმერეთის მევენახეობის ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ზვრებმა დაიმსახურა ხარისხის ნიშანი. მევენახეები საგულდაგულოდ უვლიან ვაზს — თავიანთ მარჩენალს, წამლავენ, ფურჩნიან, გულდაგულ ზრუნავენ იმისათვის, რომ ხუთწლედის მესამე წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 512.000 ტონა ყურძენი.

უკანასკნელ დღეებში გაძლიერდა საგაზაფხულო თესვის ტემპი. ბევრგან ეს სამუშაო მთავრდება. ახლა მთავარია სოფლად არ შეანელონ აღებული ტემპი, ყველაფერი იღონონ, რომ უმოკლეს დროში დამთავრდეს თესვა. ზოგან უკვე დაიწყეს ნათესების დამუშავება.

გაორკეცებული, გასამკეცებული შრომით ავანაზღაუროთ უამინდობით დაკარგული დრო! — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ მოწოდების პასუხად, იმედია, კვლავაც ენერგიის დაუშურებლად იშრომებენ სოფლის მშრომელები, არ შეანელებენ სამუშაოთა ტემპს და ქალაქის მშრომელთა მხარდაჭერითა და დახმარებით, ერთიანი ძალით დაძლევენ უამინდობით გამოწვეულ ჩამორჩენას, მეათე ხუთწლედის მესამე წელს სამშობლოს მიჰცემენ მეტ ყურძენს, ჩაის ფოთოლს, მარცვლეულს, ციტრუსს, ხილს, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს!

პარტიის სასოფლო რაიკომების, რაისაბჭოს აღმასკომების, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების სადღეისო ამოცანა ის არის, რომ უფრო ორგანიზებული, ქმედითი იყოს სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, რომ უფრო დაჩქარდეს საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი, რომ უხვი მოსავლის მისაღებად მთელი რესურსები და რეზერვები აამოქმედონ, რომ ყოველი დღე, ყოველი საათი საზოგადოებრივ შრომას მოხმარდეს!

საკვები ბაზა — დიდი საზრუნავი

გარდატეხა დაიწყო

ვ. ბატიაშვილი,

საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი

პარტიის რაიონული კომიტეტი სათავეში ჩაუდგა ბრძოლას იმისათვის, რომ უმოკლეს ვადებში ანაზღაურდეს უამინდობით დაკარგული დრო. სათანადო ღონისძიებები განხორციელდა სეტყვით დაზიანებული ზვრების აღსადგენად. პარტიის რაიკომის წევრები გაიგზავნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე სპეციალური შტაბი, რომელსაც პარტიის რაიკომის მეორე მდივანი უ. ჯაფარიძე ხელძღვანელობს. შტაბის წევრები ყოველი დღის ბოლოს იღებენ სამუშაოთა მიმდინარეობაზე ცნობებს და, თუ რაიმე შეფერხება არის, მაშინვე მიმართავენ სათანადო ღონისძიებებს მის გამოსასწორებლად.

ყოველივე ამის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მეურნეობებს ჩამორჩენის დასაძლევად უკვე აქვთ გარკვეული შედეგები. **საგაზაფხულო თესვა 3.871 ჰექტარზე შესრულდა. ახლა მიმდინარეობს სიმინდისა და სხვა კულტურების მწკრივთაშორისების ნიადაგის დამუშავება.**

როგორც ცნობილია მეცხოველეობის განვითარების საფუძველია საფუძველია მტკიცე საკვები ბაზა. ამიტომ რაიონის კომუნისტები, კომკავშირული ახალგაზრდობა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, ინტელიგენცია, რაიონის ყველა მშრომელი ერთსულოვნად დაიარაზმენენ, რომ პირუტყვს მოუმარაგონ საჭიროზე მეტი საკვები. **23.900 ტონის ნაცვლად დაამზადონ 27.000 ტონა უხეში საკვები. 17.800 ტონის ნაცვლად 18.000 ტონა სილოსი, 14.200 ტონის ნაცვლად 16.000 ტონა სენაჟი, 1.945 ტონის ნაცვლად 3.000 ტონა თივა, ხანაწვერალი და შუალედური კულტურებს აწარმოებენ 2.000 ჰექტარ ფართობზე.** თითოეული სული პირუტყვისათვის მოიმარაგებენ (ზამთრის საძოვრების ჩათვლით) 17 ცენტნერ საკვებ ერთეულს გამოზამთრების ნორმის 16,2 ცენტნერის ნაცვლად.

რაიონის მშრომელთა გადაწყვეტილებაა როგორც მიწათმოქმედების, ისე მეცხოველეობის პროდუქტების საწარმოებლის ინდუსტრიული ფორმით ორგანიზაციისათვის მიყოდვის გეგმა-ვალდებულება შეასრულონ ერთი თვით ადრე — 1 დეკემბრისათვის.

გადაწყვეტილი გვაქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის პარალელურად უურადღება დაეთმოთ საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებას. ამ მიზნით მოსახლეობას გამოუყავთ ხვეულპირა და ტყისპირა ფართობები. მოსახლეობას შეღავათიან ფასებში მიეყიდება უხეში საკვები.

ყურადღება მიექცევა საკვების წარმოებაში მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებებს, საკვებმომპოვებელთა იმ ბრიგადებს, რომლებიც რაიონში პირველნი შესრულებენ მაღალხარისხოვანი თივის, სენაჟის, სილოსის დამზადების გეგმა-ვალდებულებას, ურიგოდ მიეყიდებათ მსუბუქი ავტომანქანები, მეორე ადგილზე გამოსულთათვის დაწესებულია სხვადასხვა ჯილდო.

ამოცანა — უხვი საკვები

კ. ქაჯაია,

საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი

მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტების წარმოების გადიდების თანამედროვე მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციას, საკვებწარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას და ამ საფუძველზე წლის ყველა პერიოდში მეცხოველეობის უზრუნველყოფას იდგილობრივი წარმოების წვნიანი, უხეში და კონცენტრირებული საკვებით.

ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელს უწყობს ჩხოროწყუს რაიონის ბუნებრივი და სამეურნეო პირობები. **წელს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში უნდა დავამზადოთ 1.130 ტონა უხეში საკვები, მათ შორის 3.000 ტონა თივა, სიმინდის ჩალა 3.700 ტონა, 5.000 ტონა სენაჟი, 10.000 ტონა სილოსი, 800 ტონა კონცენტრირებული საკვები (სიმინდის მარცვლი კომბინირებულ საკვებზე გადასაცვლელად), 2.000 ტონა შუალედური კულტურები და ტურნეფსი მწვანე საკვებად.**

მიმდინარე წლის გაზაფხული როგორც მთელი რესპუბლიკისათვის, ისე ჩხოროწყუს რაიონის მხვნელ-მთესველებისათვის მეტად მძიმე იყო. დაირღვა საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკური ვადები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად რაიონში ფართოდ გაიშალა ბრძოლა, რომ დამტკიცებული გეგმები და სოციალისტური შეჯიბრებები ნაკისრი ვალდებულებები აუცილებლად შესრულდეს. განსაკუთრებით გაძლიერდა ბრძოლა საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის საქმეში. ჩვენთან მტკიცედ მოიკიდა ფეხი შუალედურმა კულტურებმა — შვრიამ და ტურნეფსმა. შედეგებიც არის. შარშან სენაჟის დამზადების საქმეში რესპუბლიკაში გამარჯვებულად ცნეს ჩხოროწყუს რაიონი. წელსაც გადაწყვეტილია პოზიციები არ დავთმოთ. სენაჟი დამზადდება 7.000 ტონა, ხოლო სილოსი 15 ათასი ტონა. თითოეულ ფერმაში შეექმნით საკვების სარეზერვო ფონდს. რაიონში დამზადდება 95.262 საკვები ერთეული, ანუ ყოველ პირობით სულ პირუტყვზე 20 ცენტნერი.

დიდ დახმარებას გვიწევენ კომკავშირული ორგანიზაციები. რაიონის ახალგაზრდობამ შარშან დაამზადა 500 ტონა თივა, წელს მათი ვალდებულებაა დაამზადონ 700 ტონა.

შარშან ამუშავდა ორი საკვების შესამზადებელი საამქრო, ხოლო წელს ფოთის წისქვილკომბინატმა დახმარების სახით სოფელ ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობაში უფასოდ აგვიშენა ერთი საამქრო. საკვების საამქროს მშენებლობა გათვალისწინებული გვაქვს აგრეთვე სოფელ ცირცხში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად პარტიის რაიონული კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი, სოფლის მეურნეობის სამმართველო ყველაფერს იღონებენ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა პარალელურად უამინდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის, რაციონალურად მოაწყობენ თითოეული მუშაკის შრომას, მთლიანად გამოიყენებენ რაიონში არსებულ რეზერვებს.

ნაშრომის შეფასება

□

ჯილდოდ — ავტომანქანა, ტრაქტორი

□

თმრჯოლა. („კომუნისტის“ საკ. კორ.). გამოცდილი მევენახეები ამბობენ, რომ ასეთი უხვად მოსხმული ზვრები უკანასკნელ წლებში არ ყოფილა. მართალია, მთელი გაზაფხული ავდრიანი იყო, მაგრამ ვაზი არ დაზიანებულა. ახლა მთავარია აგროტექნიკური კომპლექსით ვათვალისწინებული ყველა ღონისძიება ზუსტად შესრულდეს, რაც უზრუნველყოფს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას.

ამ მიზნით ვენახების რესპუბლიკური დათვალიერების დროს სპეციალურად შექმნილმა ჯგუფებმა ნახეს ვენახების ყველა ნაკვეთი, პირუთვნელად შეაფასეს გაწეული მუშაობა და შედეგები განიხილეს საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომისა და სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე.

უხვი მოსავლისათვის ენერგიულად შრომობენ ალისუბნელი, სიქთავრელი, რუფოფთელი, ზედასაზანოელი, თუზელი და ეწერელი მევენახეები.

ვენახების რესპუბლიკური დათვალიერება რაიონის ხელმძღვანელობამ თავისებურ კონკურსად გამოაცხადა და გამარჯვებულთა შრომა ღირსეულად შეაფასა. კარგად მოვლილი ზვრებისათვის პირველ ადგილზე გამოსულ ალისუბნის ფ. ენგიელის სახელობის კოლმეურნეობას ურიგოდ გამოუყვეს სატვირთო ავტომანქანა, ხოლო მეორე ადგილზე ჯამოსულ ეწერელ მევენახეებს ჯილდოდ ეიგოთ ტრაქტორი „ბელარუსი“ თავისი მისაბმელით.

ზვრების დათვალიერებამ ნაკლიც გამოავლინა. კომისიამ უარყოფითად შეაფასა ნაწილრეული კოლმეურნეობისა და თერჯოლის სანერგე მეურნეობის მევენახეთა მუშაობა. ამაზე საკმაოდ იმსჯელეს და ნაკლის გამოსასწორებლად დასახეს კონკრეტული ღონისძიებები.

პარტიისა და ხალხის იდეური იარაღი

მოსკოვი გაიმართა პროფკავშირული ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფკავშირული პრესის მუშაკთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების „მცირე მიწისა“ და „აღორძინების“ განხილვას და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და პატრიოტული აღზრდის გაძლიერების, მუშაობის სტილისა და მეთოდების დახვეწისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. შიბაევმა, შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა, წარმოების მოწინავეებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა აღნიშნეს, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის დონის ამაღლებისათვის. ისინი მოგვიწოდებენ განსაკუთრებული უურადღება დავუთმოთ კომუნისტური მშენებლობის მთავარ ამოცანებს, მოითხოვენ არ შეეურიგდეთ ნაკლოვანებებს.

პროფკავშირული კომიტეტების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფკავშირული პრესის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, როგორც თათბირზე აღინიშნა, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, მაქსიმალურად გამოიყენონ ორივე წიგნის უმდიდრესი მასალა, რათა სრულყონ საბჭოთა ადამიანების იდეურ-ზნეობრივი აღზრდის მთელი მუშაობა, მთელი პროცესი სკკპ XXV კონგრესის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

(საკდესი).

ა. პ. კირილენკოს იაროსლავლის ოლქში

იაროსლავლი, (საკდესის სპეც. კორ.). მოსკოვში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო. იგი მონაწილეობდა ქალაქ რიბინსკისათვის შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმში.

ა. პ. კირილენკო შეხვდა სკკპ იაროსლავლის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს და ოლქის პარტიულ აქტივს. სკკპ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ი. ლოშენკოვმა ილაპარაკა საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ა. პ. კირილენკო შეეხო მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის მთელ რიგ აქტუალურ ამოცანებს.

ოლქში ყოფნის დროს ა. პ. კირილენკომ ყვავილებით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლები და საბრძოლო და შრომითი დიდების მონუმენტები იაროსლავლსა და რიბინსკში. მან დაათვალიერა რიბინსკის ჰიდროელექტროსადგური, რიბინსკის საავიაციო ტექნიკუმი და საბჭოთა მეურნეობა „მალენოვეი“, ქალაქ როსტოვში გაეცნო საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის კომპლექსს, ისტორიულ-არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობებს, ეწვია პოეტ ნ. ა. ნეკრასოვის სახლ-მუზეუმს კარაბიხში.

ოფიციალურ ვიზიტად

საკპკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის მოწვევით 22 მაისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ჯ. რამი.

აეროდრომზე ჯ. რამს დახვდნენ დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები საბჭოთა კავშირის მარშლები ნ. ვ. ოგარკოვი, ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები.

დამხვდურთა შორის იყო ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. კ. გუჯრალი.

ამავე დღეს ინდოეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ვიზიტად ეწვია დ. თ. უსტინოვს. გაიმართა მეგობრული საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

დ. თ. უსტინოვმა სადილი გაუმართა ჯ. რამს. (საკდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე

22 მაისს მოსკოვიდან ნიუ-იორკში გაემგზავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსაზღვრულ-სადმი მიძღვნილ სპეციალურ სესიაზე სსრ კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ი. ვ. ანდროპოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ვ. არხიპოვმა, სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა ბ. პ. ბუგაევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-1009“

მოსკოვი. გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1009“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

პროგრამით გათვალისწინებული მეცნიერული გამოკვლევები შესრულებულია. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

ლიპეცკი. ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ ქარხანაში მიმდინარეობს 3,2 ათასი კუბური მეტრი მოცულობის მეექვსე საბრძმედე ღუმელის მშენებლობა. მისი ამოქმედების შემდეგ ქვეყანა წელიწადში დამატებით 2,2 მილიონ ტონა ლითონს მიიღებს. ღუმელი პირველ ნადნობს წლეულს საშვიდნოემბროდ მოგვცემს.

სურათზე: ღუმელის მშენებლობაზე.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პარტორგანიზაცია და მშენებლობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი. რომელმაც განიხილა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების როლის გაძლიერების საკითხები. თათბირში მონაწილეობდნენ მთელი რიგი სამინისტროების, სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტების, გაერთიანებების, სამმართველოების, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

მშენებლობაზე პარტიული მუშაობის ორგანიზაციის შესახებ თათბირზე ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ვ. ჯანჯღავამ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 და № 13 ტრესტების პარტკომების მდივნებმა გ. ი. კაციტაძემ და თ. ვ. გოცირიძემ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 და № 9 ტრესტების პარტკომების მდივნებმა ა. შ. შერმადინმა და ა. ო. გოგშელიძემ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს პარტბიუროს მდივანმა ბ. ი. ბრეგვაძემ, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შტაბის წევრებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკებმა კ. კ. კინწურაშვილმა, ე. ა. მინასიანმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

თათბირში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. ქედიშვილი.

აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტ ინიციატივასა და სიმტკიცეს იჩენენ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში, გაძლიერეს მუშაობა, რათა დარაზმონ მასები მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. პარტორგანიზაციებმა, მათმა მდივნებმა ისწავლეს, თუ როგორ უნდა მოახმარონ თავიანთი ძალები უფრო დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორ გაგიული ქარხნის საწმენდ ნაგებობათა მშენებლობაზე საგეგმო დავალებათა ჩაშლის საფრთხე შეიქმნა, კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ შრომის ნაყოფიერების გადიდების შინაგანი რეზერვების ძიებას და საექსპლოატაციოდ ობიექტის ვადამდე გადაცემას მიაღწიეს. ამავე ტრესტის კომუნისტებმა რუსთავის ქიმიური ქარხნის საამქროთა რეკონსტრუქციის მონაწილეების სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით მიაღწიეს მუშახელის ნაკლებობის კომპენსაციას და დაძლიეს ჩამორჩენა.

ძირეული პარტიული რგოლების სტრუქტურის სრულყოფისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პარტკომი. მშენებლობის ყოველ უბანზე შექმნილია პარტიული ჯგუფები, რომლებიც წარმატებით წყვეტენ მშენებლობის ტემპის დაჩქარების კონკრეტულ ამოცანებს. უფრო მიზანდასახულად წარმოებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, აქტიურ პროპაგანდას უწევენ მოწინავეთა გამოცდილებას.

პარტკომის სხდომები, პარტიული კრებები სუბსაიჯარო ორგანიზაციათა და მოწყობილობის მიმწოდებელ ქარხანათა წარმომადგენლებთან ერთად, ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების ანგარიშების განხილვა, მჭიდრო კავშირი ენერგეტიკის გიგანტის მშენებლობაზე დასაქმებულ ყველა ორგანიზაციასთან, „მუშური ესტაფეტის“ პრინციპით გაშლილი შეჯიბრება ხელს უწყობს პარტორგანიზაციათა მებრძოლურობის ამაღლებას, მოწინავე გამოცდილების უფრო უნარიან განზოგადებასა და გამოყენებას.

თათბირის მონაწილეებმა გამოავლინეს ნაკლოვანებანი მთელი რიგი ტრესტებისა და სამმართველოების პარტიული მუშაობის პრაქტიკაში. კერძოდ, აღინიშნეს, რომ უნარიანად ვერ არჩევენ კადრებს, სუსტია შესრულების კონტროლის ორგანიზაცია, ორგანიზატორული საქმიანობის ნაცვლად ეწევიან ქაღალდების თხზვას, არ არის მოგვარებული პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა და პარტჯგუფორგების სისტემატური სწავლება. ითქვა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა უყაირათობის, მფლანგველობის, არამწარმოებლური ხარჯების, სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც მშენებლობებზე შეიმჩნევა.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა დამოკიდებულია პარტიულ ორგანიზაციათა და უწინარეს ყოვლისა — პირველდს ორგანიზაციათა საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებაზე. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა კიდევ უფრო უნდა აამაღლონ პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მაორგანიზებელი და დამრაზმველი როლი, განამტკიცონ მათი ბრძოლისუნარიანობა. ეს, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, შემდგომი მუშაობის წარმატებათა საწინდარია.

(საქინფორმი).

საგაზეთო თემებზე

სწორი ორიენტირი

პრესა, ტელევიზია, რადიო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და გამოხატვის მძლავრი საშუალებებია. მშრომელთა მიერ გაზეთში გამოგზავნილ წერილებს, მკითხველთა, ტელემაყურებელთა თვალსაზრისს, რომლებსაც გამოთქვამენ ეკონომიკის, კულტურისა და აღზრდის განვითარების საკითხების განხილვისას, — ყოველივე ამას აქტიურად იყენებს საქალაქო პარტიული ორგანიზაცია პლენუმებისათვის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ხელისუფლებისათვის მზადების დროს. თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის შესახებ ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ ჩვენგან პარტიულ-ორგანიზაციული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის არსებითი გარდაქმნა მოითხოვა. ამ საქმეში პრესის, ტელევიზიისა და რადიოს რაბმა გვეხმარება უფრო ღრმად და ოპერატიულად შევისწავლოთ, თუ რა აწუხებთ განსაკუთრებით ადამიანებს მოცემულ მომენტში, როგორია მათი გუნება-განწყობილება, მოთხოვნები, რას ფიქრობენ ისინი ქალაქის ცხოვრების ამა თუ იმ უბანზე საქმის მდგომარეობის შესახებ.

პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილებათა დამრაზმველ ძალას, მათს კონკრეტულობას, დაბალთებულობას ბევრად განსაზღვრავს იმის უნარი, რომ შევქმნათ ატმოსფერო აზრთა გულახდილი და საქმიანი გაზიარებისათვის, მოვეთათბიროთ საზოგადოებრიობას. აქ ჩვენ მუდამ ვქმედებთ გაზეთების „თბილისისა“ და „ვეჩერნი ტბილისის“, ტელეეფურნალის „თბილისი და თბილისელები“ რედაქციებთან მჭიდრო ერთიანობით. ეს დამჯერებლად გამოვლინდა, მაგალითად, მშენებლობისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემისადმი მიძღვნილი საქალაქო კომიტეტის პლენუმის მომზადების დროს.

უნდა ითქვას, რომ ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები ამ ბოლო წლებში წარმატებით ასრულებდნენ საგეგმო დავალებებსაც და სოციალისტურ ვალდებულებებსაც. მაგრამ რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდის პირობებში შესაჩხვევად ჩამორჩებოდა ხარისხობრივი მაჩვენებლები. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით თბილისელ კომუნისტებსა და ყველა მშრომელს მოუწოდა შემოეტანათ თავიანთი შენიშვნები, სურვილები და წინადადებანი. ამის შედეგად ჩვენ მივიღეთ უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო საქალაქო კომიტეტის მახსენებას. პლენუმმა დაამტკიცა თბილისის სამრეწველო საწარმოებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ძირითად ღონისძიებათა გეგმა.

პლენუმისათვის მზადების დღეებში პრესაში, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში გაძლიერდა, უფრო მრავალფეროვანი გახდა თბილისელთა იმ სოციალისტური შეჯიბრების გაშუქება, რომელიც მიმდინარეობს დევიზით „საწარმოს თითოეულ რგოლს — წარმოების მაღალი კულტურა და სანიმუშო დისციპლინა“. კარგი საქმე გააკეთეს ჩვენი საღამოს გაზეთების რედაქციებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის გამსვლელმა სესიებმა. პლენუმის წინ ასეთი სხდომა გაიმართა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხაშენებელ ქარხანაში. აქ გაიხსნა თბილისის საწარმოთა მიღწევების გამოფენა, რომლებიც მოპოვებულია თავიანთი წარმოებების სანიმუშოდ გადაქცევის საქმეში. კომისიის სხდომაზე მოწვეულ დირექტორებს, მთავარ ინჟინრებს კიროველებმა უჩვენეს წარმოების მაღალი კულტურის სამუშაო ადგილები და საამქრობი. ხესიის შედეგები გამოქვეყნდა საქალაქო გაზეთებში.

პლენუმის გადაწყვეტილებებმა გააქტიურა პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობა. მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა შეძლეს მოკლე ვადებში აღმოეფხვრათ თავიანთი ჩამორჩენა. ამუამად ხარისხის უმაღლესი ‘ კატეგორიის თბილისური ნაკეთობათა რაოდენობამ უკვე 450-ს გადააჭარბა.

ფართოდ გამოეხმაურნენ აგრეთვე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის იმ პლენუმსაც, რომელმაც განიხილა მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა. ცნობა მომავალი პლენუმის დღის წესრიგის შესახებ გამოქვეყნდა საქალაქო გაზეთებში, მას მრავალი მოქალაქე ინტერესით გამოეხმაურა. გაზეთების გვერდებზე გაჩნდა ახალი რუბრიკები: „ვაჭრობა: მოთხოვნა და მოწოდება“, „საყოფაცხოვრებო სამსახური — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე“ და სხვა. რედაქციებმა მოაწყვეს „მრგვალი მაგიდა“ თბილისის უნივერსიტეტის ეკონომისტთა მონაწილეობით, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში საზოგადოებრივი ბრიგადების რეიდები. საქალაქო კომიტეტში გაიმართა შეხვედრები, საუბრები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან, ეწყობოდა მშრომელთა გამოკითხვა. აბრიგად, ამ პლენუმის გადაწყვეტილებებშიც ინფორმაციის საშუალებებმა ფრიად სასარგებლო წვლილი შეიტანეს.

საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიურ კომისიასთან შექმნილია პრესის სექტორი, რომელიც განაზოგადებს და აანალიზებს საქალაქო და მრავალტირაჟიანი გაზეთების შემოქმედებითს პრაქტიკას, რეკომენდაციებს აძლევს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის განყოფილების ბიუროს პრესის მუშაობის აქტუალური მიმართულებების შესახებ. მუდმივი გახდა „პრესის დღეები“, პრესკონფერენციები, რომლებზეც ქალაქის ხელმძღვანელი მუშაკები ხვდებიან ჟურნალისტებს. ამ შეხვედრებზე, ჩვეულებრივ, იმართება შინაარსიანი, ზოგჯერ კი მწვავე სჯა-ბაასი, განსაზღვრავენ ძალების გამოყენების უპირველეს, „ცხელ“ წერტილებს, წარმოიშობა ახალი თემები და ჩანფიქრები. ჟურნალისტებთან ამგვარი კონტაქტების ორმხრივი სარგებლობა და აუცილებლობა ჩვენთვის ცხადია.

დამყარებული ტრადიციის თანახმად, პარტიის საქალაქო კომიტეტმა მიმდინარე წლის დამდეგს პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით პარტიულ ორგანიზაციებს კვლავ მიმართა წინადადებით მონაწილეობა მიეღოთ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების შესახებ პლენუმის მომზადებაში. გაზეთებში „ობილისსა“ და „ვეჩერნი ტბილისში“ გამოქვეყნდა 70-ზე მეტი სტატია და კორესპონდენცია, რომლებშიც აისახა კადრებთან მუშაობის, შრომითს კოლექტივებში შეძენილი გამოცდილების სხვადასხვა მხარე, გაკრიტიკებული იყო ნაკლოვანებანი. პარტიული ინფორმაციის სექტორმა გამოსცა ბიულეტენი, რომელშიც მიმოხილული იყო პრესაში გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები. მათს რეალიზაციას დაუწესდა კონტროლი.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ პლენუმებისა და მნიშვნელოვანი ღონისძიებების მომზადების ასეთი მეთოდი ხელს უწყობს მახალთან საქალაქო კომიტეტის კავშირურთიერთობის განმტკიცებას, ახალი ცხოველმყოფელი ნაკადი შეაქვს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან ჩვენი მუშაკების ურთიერთობაში, თითოეულ კომუნისტს უფართოებს გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მიღებაში პირადი მონაწილეობის შესაძლებლობებს. დაბოლოს, ეს მეთოდი, შესრულების შემოწმების ზუსტ ორგანიზაციასთან ერთად, ეფექტიანად უწყობს ხელს დახასულის ხორცშესხმას.

თ. მენთეშაშვილი,
პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

„პრავდა“ 21/V. 78 წ.

პარტიის განაწესს შეესრულებთ!

საქართველოს კომკავშირული აქტივის კრება

შთაგონება, აღფრთოვანება, პასუხისმგებლობა — ამ სიტყვებით შეგვიძლია დავახასიათოთ განწყობილება და გრძნობები, რომლებიც საქართველოს კომკავშირელებში, ქალიშვილებსა და ჭაბუკებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ახალგაზრდობაში, გამოიწვია სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან სიტყვაში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა და დასკვნებმა.

პარტიის საქმისადმი, კომუნიზმის დიადი იდეალისადმი ერთგულებას საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდობა ამტკიცებენ შთაგონებული შრომით, ჩინებული სწავლით, მაღალი სოციალური და პოლიტიკური აქტიურობით. 600 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მონაწილეობს დღეს პატრიოტულ მოძრაობაში „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდების ინოუნიზიზმი და შემოქმედება!“. ისინი ახალგაზრდული შემართებით დროს უსწრებენ. 8 ათასმა ახალგაზრდა მშრომელმა ვალდებულება იკისრა მეათე ხუთწლედის დამლევისათვის შეასრულოს ორი ხუთწლიანი დავალება. ბევრი მათგანის სამუშაო კალენდარზე მეორეთბეტე ხუთწლედი დაიწყო. 200 ათასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი შრომობს დევიზით „ხუთწლედის სამი წლის დავალება — ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების წლისთვისადამდე!“.

საქართველოს კომკავშირის წარმომადგენლები მუშაობენ დღეს 27 საკავშირო და რესპუბლიკურ დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე 11 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მივიდა კომკავშირული საგზურებით ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

მნიშვნელოვანია სოფლის ახალგაზრდა მშრომელთა საქმეები, რომელთა წილად მოდის რესპუბლიკაში წარმოებული მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის თითქმის ნახევარი.

„ვიმუშაოთ თითოეულთან, უურადღებით მოვეკიდოთ თითოეულს!“ — ამ პრინციპის თანამიმდევრულმა, მიზანმიმართულმა და განუხრელმა განხორციელებამ ხელი შეუწყო იმას, რომ რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციას ზედიზედ მეორედ მიენიჭა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა „ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში წარმატებებისათვის“.

საღამ აფსესეს მიღწეულ და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს ახალ მიჯნებს, პრაქტიკულად განახორციელოს სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამოცანები, რომლებიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კომკავშირული ფორუმისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში და ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში — ამ განწყობილებით შეიკრიბა თბილისში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივი. აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი და მეორე მდივნები, რაიკომის უფროსები შრომითი კომკავშირის კომიტეტების მდივნები, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატები საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციისაგან, ხუთწლედის ახალგაზრდა გვარიელები, რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, ახალგაზრდობის დარგიგებლები, პარტიისა და შრომის ვეტერანები

ერთსულოვნად, ტაშის გრიალში ირჩევენ კრების სამპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის.

**ღრმაშინაარსიან სიტყვაში ჩამოყალიბებულმა ამოცანებმა, ამოცანებმა, რომლებიც ცხოველია ყველა ადამიანისა, ინტერესებმა, ინტერესებმა, ინტერესებმა — ეს ყველაფერი ... ...

წიგნი ხალხის დიდ გმირობაზე

ჩეხოსლოვაკიაში გამოიცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „მცირე მიწა“

პრაღა, 19 მაისი. (საკდესი). პრაღის გამომცემლობა „ხვობოდამ“ და „ლიდოვე ნაკლადატელსტვომ“ გამოაქვეყნეს ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „მცირე მიწა“. წიგნის ჩეხოსლოვაკიური გამოცემის წინასიტყვაობა ლ. ი. ბრეჟნევმა დაწერა.

„მცირე მიწა, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — ხისხლით მორწყული ხაბჭოთა მიწა-წყლის ნაწილია, ხოლო ფრონტელთა ჩანაწერები განცდილის შესახებ მოგონების ნაწილი.

მეხსიერებაში დაგვრჩა თქვენს ქვეყანასთან დაკავშირებული ბევრი ამაღელვებელი ფურცელი, წერს შემდეგ იგი. ისინი — განეკუთვნებიან ომის დროის შრახნენე ხანასაც, ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყალზე ახალი ცხოვრების შენების წლებსაც.

მე-18 არმიამ, რომელშიც ომის წლებში ვმსახურობდი, ხაბრძოლო გზები განვლო კავკასიიდან კარპატებამდე. ჩვენ მივეშურებოდით ჩეხოსლოვაკიელი ძმების დასახმარებლად, ხლოვაკი პატრიოტების დასახმარებლად, რომლებმაც საერთო-ხახალხო ომში აჯანყების ალი დაანთეს, სადაც თვალსაჩინო როლს ასრულებდა გუსტავ ჰუსაკი. მოსახლეობა ყველგან აღტაცებითა და სტუმართმოყვარულად გვეგებებოდა. ხშირად განთავისუფლებული სოფლების მცხოვრებლებს თავიანთი საზიდრებით ნებაყოფლობით გადაჰყავდათ ხაბჭოთა დაჭრილები. დაჭრილების გადარჩენისათვის ისინი საფრთხეში იგდებდნენ საკუთარ თავს.

ჩემთვის ძვირფასია შთაბეჭდილებანი დღევანდელი ჩეხოსლოვაკიის, იმ ქვეყნის შესახებ, რომელსაც აქვს მძლავრი, დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა, დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი. ამ წლებში ჩემი ურთიერთობა, შეხვედრები და კონტაქტები თქვენს ქვეყანასთან, თქვენს ხელმძღვანელებთან, მშრომელებთან მუდმივი და მჭიდრო გახდა.

მახსოვს, ჯერ კიდევ პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივნად ყოფნის დროს, შესაძლებლობა მქონდა შეეხვედროდი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის გამორჩენილ ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს კლემენტ გოტვალდს. ეს მოხდა მაშინ, როცა ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს 1948 წლის თებერვალში, რამაც ახალი ფურცელი ჩაწერა ქვეყნის მატიანეში.

ჩვენ და თქვენ, წერს ლ. ი. ბრეჟნევი, ვცხოვრობთ ერთი აზრებით, ერთი სიხარულითა და საზრუნავით. ჩვენ გვანთესავებს და გვაერთიანებს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურღვევი კავშირი. დღეს ჩვენი ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა მოიცავს ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სფეროებს, მდიდრდება ახალი შინაარსით.

ამას წინათ მსოფლიოს ადამიანები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საერთაშორისო ეკიპაჟის ხანგრძლივ, რთულ ორბიტულ კოსმოსურ ფრენას. ამ საერთაშორისო ეკიპაჟის წევრი იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე ვლადიმერ რემეკი.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობა კოსმოსურ ტრასებზე, ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევი, იმის მკაფიო მაგალითია, რომ ღრმავდება და ფართოვდება ჩვენი ბოძმე სახელმწიფოების ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა. იგი კიდევ ერთხელ მოწმობს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ძალას. დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ეს ამხანაგური თანამშრომლობა როგორც დედამიწაზე, ისე კოსმოსურ ორბიტებზეც.

გისურვებთ ახალ წარმატებებს ამ გზაზე!

ინტერნაციონალური ძმობა

პრაღა, 20 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა დღეს პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით — „ხაბჭოთა კავშირის ხალხები და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას ეწვევა“ — გამოაქვეყნა ცნობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ხაბჭოთა კავშირის დელეგაციის მომავალი ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შესახებ, რომლის მეთაური იქნება ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

მიეხალშებინან რა ამ ვიზიტს, პრესა, ტელევიზია და რადიო თავიანთ კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიელი და ხაბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური მეგობრობისა და ძმობის შემდგომ გაძმკიცებისათვის, ორი ქვეყნის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისათვის.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხი, წერს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „რუდე პრავო“, დიდად აფასებს ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხაბჭოთა ხახელმწიფოს დაუცხრომელ ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, საერთაშორისო ძაძაბუოლობის შენელებისა და სხვადასხვა ხაზოგადოებრივი წყობილების ხახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. გაზეთი ხაგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა უდიდესი პირადი წვლილი შეიტანა სოციალიზმის და ეროვნების და შეკავშირების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, საერთაშორისო ძაძაბუოლობის შენელების გაღრმავებაში, ხაყოველთაო მშვიდობის დამკვიდრებაში.

კონგრესის ერთი რეზოლუციის გამო

ამერიკის შეერთებულ შტატებში ემზადებიან ჯ. კარისის დასასჯელად, რომელსაც სიკვდილი აქვს მისჯილი. ამ კაცის დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ზანგი ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდა. ყველა კონტინენტის ხაზოგადოებრიობა მოითხოვს ხაკერობილიდან გაათავისუფლონ სრულიად უდანაშაულო მოვდელი ბ. ჩეივისი და მისი ამხანაგები ულიმინგტონის ათეულიდან, რომლებსაც ხაერთო ანგარიშით 282 წლის პატიმრობა აქვთ მისჯილი ომისათვის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

რამდენიმე დღის წინათ ამერიკაში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფიერადკანიან მოსახლეობას მიენიჭოს თანაბარი უფლებები, შრომის უფლება, თავისუფალი მწარმოსის უფლება. ისინი მოითხოვდნენ იმ ათასობით ადამიანის ხაპყრობილიდან გათავისუფლებას, რომლებიც უკანონოდ აჰიანეს მსჯავრდებული თავიანთი მრწამისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს თითქოს აქვს თავისი ხაზრუნავი, აქვს ხაქმიანობის ასპარეზი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხაკუთარი ქვეყნის ყველა მოსახლისათვის ჰელსინკის მორიგებათა განხორციელება, ჰელსინკის აქტის დებულებათა შესრულება, გადაეცეოს იგი იმ დოკუმენტად, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ხალხზე გავრცელდებოდა.

მაგრამ ამერიკელი კანონმდებელნი, რომლებიც თავიანთ მოქალაქეთა ამ მოთხოვნებს უგულებელყოფენ, თავს ნებას აძლევენ ჩაერინონ სხვა ხახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა ჯალატის მიერ მიღებული რეზოლუცია საქმის გამო, რომელიც სრულიადაც არ შედის არც ამერიკელ ხელისუფალთა, არც ამერიკელ კანონმდებელთა კომპეტენციაში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მოსკოვის საქალაქო სასამართლომ რუსეთის ფსერ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად ჯალიფორნიელ, რომელსაც მისჯილი. ეროვნული ბრძოლა ამერიკელ ხალხთა ერთობის, ძმობისა და ერთიანობისა ბრძოლა ეროვნული ბრძოლა ამერიკელ ხალხთა ერთობის, ძმობისა და ერთიანობისა ბრძოლა

ᲡᲐᲥᲠᲗᲐᲕᲝᲠᲘᲚᲝ ᲪᲘᲚᲝᲕᲠᲘᲡᲮᲝ

ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ

ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ

მეგობრობა, გულითადობა

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ხაბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის მეთაურობით უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკაში ხამხედრო დელეგაციის ვიზიტის შესახებ

□

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის გენერალ-პოლკოვნიკ ლ. ცინეგეს მიწვევით 15-20 მაისს უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა ხაბჭოთა ხამხედრო დელეგაცია ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ხაბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის მეთაურობით.

დ. თ. უსტინოვი და დელეგაციის წევრები მიიღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კადარმა, აგრეთვე უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. ლომონციმ და უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის მინისტრთა ხაბჭოს თავმჯდომარემ დ. ლაზარმა. დ. თ. უსტინოვი ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ხაბჭოთა კავშირის მარშლის ლ. ი. ბრეჟნევის ხახელით მიესალმა და ყოველივე ხაუკეთესო უსურვა მათ.

შეხვედრებმა და ხაუბრებმა მეგობრულ და გულითად ატმოსფეროში ჩაიარეს. გაიმართა აზრთა გაზიარება ხკკპ XXV ყრილობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ, სსრ კავშირისა და უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის, ხაბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და უნგრეთის ხახალხო არმიის ძმური კავშირურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

უნგრეთის ხახალხო არმიისა და ხაბჭოთა არმიის, აგრეთვე უნგრეთისა და ხაბჭოთა ხალხების ხაბრძოლო მეგობრობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის ხაბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი და დელეგაციის ხხვა წევრები დაჯილდოვდნენ მთავრობის ჯილდოებით, რომლებიც პ. ლომონციმ გადასცა.

ხაბჭოთა კავშირის მარშალს დ. თ. უსტინოვსა და ხაბჭოთა ხამხედრო დელეგაციის წევრებს შეხვედრები და ხაუბრები ჰქონდათ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან, უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრთან გენერალ-პოლკოვნიკ ლ. ცინეგესთან და უნგრეთის ხახალხო არმიის ხხვა მხედართუფროსებთან. მინისტრებმა განიხილეს ორივე მხარისათვის ხაინტერესო ბევრი საკითხი, გამოთქვეს დიდი კმაყოფილება ხაბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის წარმატებული განვითარების გამო. ორივე მხარემ კვლავ დაადასტურა, რომ ეს წარმატება ხაბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ხხვა ხახელმწიფოების არმიათა ძმური კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ხაბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის მეთაურობით უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკაში ხაბჭოთა ხამხედრო დელეგაციის ვიზიტი იყო ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი ხაბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის ხალხებისა და არმიების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

ბუდაპეშტი, 20 მაისი. (საკდესი). ხაბჭოთა ხამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ხაბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, დღეს ეცნობოდა ბუდაპეშტის ღირსშესანიშნაობებს. უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში დ. თ. უსტინოვმა დარგო ხე უნგრეთ-ხაბჭოთა კავშირის მეგობრობის პარკში.

იმავე დღეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა გამართა ხადილი, რომელზეც დ. თ. უსტინოვმა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა ლ. ცინეგემ სიტყვები წარმოთქვეს.

დღის მეორე ნახევარში უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მყოფი ხაბჭოთა ხამხედრო დელეგაცია, რომელსაც დ. თ. უსტინოვი მეთაურობს, ხამშობლოში გაემგზავრა.

ბუდაპეშტის აეროპორტში იგი გაეცალეს ლ. ცინეგემ და უნგრეთის ხახალხო არმიის ხხვა მხედართუფროსებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პავლოვმა.

მოსკოვის ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები ხაბჭოთა კავშირის მარშლები ნ. ვ. ოგარკოვი, ვ. გ. კულიკოვი, ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები.

დამზვდურთა შორის იყო უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის დროებითი ხაქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ი. ტოტი. (საკდესი).

ᲮᲣᲚᲘᲒᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲝᲛᲐ ᲙᲘᲜᲨᲐᲡᲐᲨᲘ

19 მაისს დილით 200-მდე მოხულიგნე ელემენტი თავს დაესხა სსრ კავშირის საელჩოს ზაირში. ახარგებლეს რა პოლიციის წაურუბით, ხულიგნებმა დაანგრიეს მესერი და ჭიშკარი, დალეწეს საელჩოს ფანჯრები და კარები, დააზიანეს ავტომანქანები, საელჩოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ, დაარბიეს იქაურობა და მოკლედით ემუქრებოდნენ საელჩოს თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს. ბედად, არავინ არ დაშავებულა.

როგორც გამოირკვა, საელჩოდან ტელეფონით თხოვეს დახმარება ზაირის საგარეო საქმეთა დეპარტამენტს და პოლიციას, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. ხაბჭოთა საელჩოზე თავდასხმა უდავოდ იმას ახასავდა მიზნად, რომ ჩამოეშორებინათ ქვეყნის ხაზოგადოებრივი აზრის ყურადღება ზაირში. ნატოს ქვეყნების ინტერვენციის ფაქტებისაგან.

სსრ კავშირს ხაგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განაცხადა სსრ კავშირის საელჩოს მიმართ უხეში ანტიხაბჭოთა პროვოკაციის გამო და მოელის, რომ ზაირის ხელისუფალნი დაუყოვნებლივ განახორციელებენ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ ხაელჩოსა და ზაირში სხვა ხაბჭოთა დაწესებულებების უშიშროება.

(საკდესი).

იძულებითი ღონისძიება

ვაშინგტონი, 20 მაისი. (საკდესის კორ.). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა გამოაცხადა, რომ ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხაშიგრობო პროგრამის ფარგლებში ქნნის ფედერალურ შემსყიდველ ხაბჭოს, რომლის მოვალეობა იქნება კონტროლი გაუწიოს ფედერალური კონტრაქტების ღირებულებას. „თუ ხაქონლისა და მომსახურების ფასი მიტანებულად მაღალი იქნება, მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, შეუძლია თუ არა გვერდი აუაროს მათ“, — აღნიშნა ჯიმი კარტერმა. ინფორმაციის კონფერენციაზე, რომელიც ჩამოაყალიბა ხაბჭოს ამოცანები.

თეთრი ხახლის ინიციატივა იძულებითი ღონისძიებისა, რომელიც განხორციელდა იმ ბრალდების პასუხად, რომ ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის ნაკეცი პროგრამა უსუსურია და ხაქმით მხოლოდ ნიღბავს ხელისუფალთა უუნარობას ალაგმონ ხიძვირის ზრდა.

კვლავ რთული ვითარეგაა

ნიუ-იორკი. (საკდესი). დომინიკოს რესპუბლიკაში კვლავ დაძაბული ვითარებაა. დედაქალაქ სანტო-დომინგოსა და ხხვა ქალაქების ქუჩებს არმიისა და პოლიციის გაძლიერებული რაზმები პატრულობენ.

ვითარება გართულდა მას შემდეგ, რაც მმართველი რეფორმისტული პარტიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ იქ გამართულ საყოველთაო არჩევნებში გაიმარჯვა ახლანდელმა პრეზიდენტმა ჰ. ბალაგერმა. წინათ, კენჭისყრის წინასწარი შედეგების თანახმად არჩევნებში იმარჯვებდა დომინგოს ძირითადი ოპოზიციური რევოლუციური პარტიის კანდიდატი ა. გულმანი. მაგრამ შემდეგ ხმების დათვლა შეწყდა იმის გამო, რომ არმიამ დაიკავა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობა. როცა ხმების დათვლა განახლდა, ჯარისკაცებმა დომინგოს რევოლუციური პარტიის წარმომადგენლები არ შეუშვეს კომისიის შენობაში. ამის შემდეგ გამოცხადდა, რომ არჩევნებში გაიმარჯვა ჰ. ბალაგერმა.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არჩევნების შედეგები ფალსიფიცირებულია.

ᲖᲐᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

პარიზი. (საკდესი). ქალაქ კოლვეზის რაიონში, სადაც ამ ბოლო დროს გაადორებული შეიარაღებული შეტაკება ხდება კონგოს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმებსა და ზაირის არმიის ძალებს შორის, გადახვეს ფრანგ პარაშუტისტთა დესანტი.

ელისეს სასახლის წარმომადგენლებმა განაცხადა, რომ „სოამარი ოპერაციები გაიხოველებით მიმდინარეობს და, როგორც კი მიაღწევენ მიზანს, გამოჩვეულნდება ოფიციალური განცხადება“.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განაცხადა სსრ კავშირის საელჩოს მიმართ უხეში ანტიხაბჭოთა პროვოკაციის გამო და მოელის, რომ ზაირის ხელისუფალნი დაუყოვნებლივ განახორციელებენ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ ხაელჩოსა და ზაირში სხვა ხაბჭოთა დაწესებულებების უშიშროება.

(საკდესი).

ᲖᲐᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

პარიზი. (საკდესი). ქალაქ კოლვეზის რაიონში, სადაც ამ ბოლო დროს გაადორებული შეიარაღებული შეტაკება ხდება კონგოს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმებსა და ზაირის არმიის ძალებს შორის, გადახვეს ფრანგ პარაშუტისტთა დესანტი.

ელისეს სასახლის წარმომადგენლებმა განაცხადა, რომ „სოამარი ოპერაციები გაიხოველებით მიმდინარეობს და, როგორც კი მიაღწევენ მიზანს, გამოჩვეულნდება ოფიციალური განცხადება“.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განაცხადა სსრ კავშირის საელჩოს მიმართ უხეში ანტიხაბჭოთა პროვოკაციის გამო და მოელის, რომ ზაირის ხელისუფალნი დაუყოვნებლივ განახორციელებენ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ ხაელჩოსა და ზაირში სხვა ხაბჭოთა დაწესებულებების უშიშროება.

(საკდესი).

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

უხსოი ჩარევა

ზაირიდან მოლებული ოფიციალური ცნობების თანახმად, იქ ჩავიდნენ და ხაომარი მოქმედება დაიწყეს საფრანგეთ-ბელგიის მედდსანტე პარაშუტისტთა ქვეგანყოფებმა, რომლებშიც რამდენიმე ათასი კაცია.

ამტკიცებენ, რომ ეს დესანტი თითქოს გადასხეს „სამოქალაქო პირთა ევაკუაციისათვის“, რათა „იხსნან ევროპელები შაბის პროვინციაში“, და რომ იგი მოგწყო მობოტუს საგანგებო თხოვნით. ფაქტიურად კი ეს შეიარაღებული აქცია არის ზაირში ამერიკულ მიმდინარე საშინაო კონფლიქტში ჭიში ჩარევა.

შაბის პროვინციაში დესანტის გადასხმის ოფიციალურად გამოცხადებულ მიზნებს ოარაფფიან ამერიკის ოფიციალურ პირთა განცხადებანი, რომლებსაც, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, „მიაჩნიათ, რომ საფრანგეთ-ბელგიის ჯარები საკუთარ საკმარისია, რათა აჯანყებულნი განდევნონ ზაირის ტერიტორიიდან“.

სულ ახლახან ნატოს ქვეყნების პრესამ, ისევე როგორც დასავლეთის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს პრესამ, გაავრცელა ხმაურიანი განცხადებანი იმის შესახებ, რომ ზაირს ემუქრება „ხაბჭოთა ავიაშერ-ავიის საფრთხე“. და რომ ხაბჭოთა ავიაშერ, ავიაბა და ინგოლა ისევ ზაირის ხაშინაო საქმეებში. ეს ცნობები, როგორც ვიცით, გადაბერით იქნა ოარაფფილი.

როგორც ახლა გახდა ცხადი, მტკიცებანი ყალბი „ხაბჭოთა საფრთხის“ შესახებ დასაბერდეთ ამ წრეებს, რომლებიც შეიარაღებულ ინტერვენციას ამზადებდნენ ზაირში, ახლა კი მას აფრიკის ამ ქვეყანაში ახორციელებენ.

შეერთებული შტატები და ნატოს ხხვა ქვეყნები ესწრაფვიან ყოველნაირად შეინარჩუნონ თავიანთი ყოთნა აფრიკაში, თავიანთი რასისტული ბასტიონები, უზრუნველყონ თავიანთა ხამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები. (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲑᲐ

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ხაბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის მეთაურობით უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკაში ხამხედრო დელეგაციის ვიზიტის შესახებ

□

ძოლო მეგობრობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის ხაბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი და დელეგაციის ხხვა წევრები დაჯილდოვდნენ მთავრობის ჯილდოებით, რომლებიც პ. ლომონციმ გადასცა.

ხაბჭოთა კავშირის მარშალს დ. თ. უსტინოვსა და ხაბჭოთა ხამხედრო დელეგაციის წევრებს შეხვედრები და ხაუბრები ჰქონდათ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან, უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრთან გენერალ-პოლკოვნიკ ლ. ცინეგესთან და უნგრეთის ხახალხო არმიის ხხვა მხედართუფროსებთან. მინისტრებმა განიხილეს ორივე მხარისათვის ხაინტერესო ბევრი საკითხი, გამოთქვეს დიდი კმაყოფილება ხაბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის წარმატებული განვითარების გამო. ორივე მხარემ კვლავ დაადასტურა, რომ ეს წარმატება ხაბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ხხვა ხახელმწიფოების არმიათა ძმური კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას.

ᲤᲝᲢᲝᲠᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ. დედაქალაქის ნავსადგურში ჩამწკრივდნენ მეთევზეთა გემები (სურათზე). მათი მფლობელები პროტესტს აცხადებენ „საერთო ბაზრის“ იმ გადწყვეტილების წინააღმდეგ, რომ დანიისათვის ორმაგად შემცირდეს მისი კვოტა ბალტიის ზღვაში ვირთევზას ჭერაზე. კოპენჰაგენის ნავსადგურის მისადგომების ბლოკირებით მეთევზეები დანიის მთავრობისაგან მოითხოვენ კვოტის გაზრდას ან ზარალის ანაზღაურებას.

ᲘᲣᲞᲘ-ᲡᲐᲯᲓᲘᲡᲘᲡ ტელეფოტო.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ

● ᲘᲢᲐᲚᲘᲐ: ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ● ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ

1.

„მოროს ტრაგედიით გამოწვეული კრიზისის მსჯელობაში ჩვენი ქვეყნის ხალხის ფართო მასებმა კვლავ ცხადყვეს რესპუბლიკისა და მისი ინსტიტუტებისადმი ერთგულება, განაცხადეს, რომ მზად არიან დაიცვან ისინი შინაური და გარეშე რეაქციის ხელყოფისაგან და მიაღწიონ შემდგომ წინსვლას დემოკრატიის გზით“. ასეთი დასკვნა გამოიტანა უკანასკნელი ორი თვის ამბებიდან იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ენრიკო ბერლინგუერმა.

ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მკვლელობის შემდეგ რამდენიმე დღეში იტალიაში მოეწყო მუნიციპალური და პროვინციული საბჭოების ნაწილობრივი არჩევნები. ახალი საპარლამენტო უმრავლესობის პარტიებს, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე შეიქმნა ა. მოროს პირადი ხელმეწყობით და რომელშიც, ქრისტიან დემოკრატებთან, რეპუბლიკელებთან, სოციალ-დემოკრატებთან და სოციალისტებთან ერთად შედიან აგრეთვე კომუნისტები, ხმა მისცა ამომრჩეველთა 90,6 პროცენტმა.

კიდევ ორი დღის შემდეგ ჯ. ანდრეოტის მთავრობამ, რომელიც ამ უმრავლესობას ეყრდნობა პარლამენტში, თუმცა მარტო ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრებისაგან შედგება, საზელმწიფოს უმაღლესი ხაკანონმდებლო ორგანოს ნდობა ვოტუმი მიიღო. მთავრობისადმი ნდობის საკითხი დასვა თვით მინისტრთა ხაბჭოს თავმჯდომარემ იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტარები მემარჯვენე პარტიებისაგან (უწინარეს ყოვლისა ნეოფაშისტები) ცდილობდნენ ჩაეფიუშათ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დეკრეტის განხილვა.

გამოვიდა რა პარლამენტში, იტალიის კომპარტიის ჯგუფის წარმომადგენელმა დეპუტატთა პალატაში ა. ნატამ ხაზი გაუსვა, რომ კომუნისტები, რომლებმაც ხმა მისცეს მთავრობისადმი ნდობას, არა მარტო ცდილობენ განამტკიცონ შეთანხმება დემოკრატიული პარტიების თანამშრომლობის შესახებ, არამედ აგრეთვე აღნიშნავენ იმ ცვლილებების აუცილებლობას, რომლებიც მომწიფდა ქვეყანაში გაქანებულ კრიზისთან დაკავშირებით.

პრობლემები, რომლებიც წარმოშვა ტერორისტული აქტების გაძლიერებამ, იტალიის მთელი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში რჩება. პრესამ გამოაქვეყნა ჰყოლია. იგი დაგმო ეროვნული საბჭოს წევრთა უმრავლესობამ, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა კოალიციური პარტიების ხელმძღვანელებზე.

რაც შეეხება იტალიის კომუნისტურ პარტიას, მან მოუწოდა კიდევ უფრო განამტკიცონ ანტიფაშისტური ძალების ერთიანობა. როგორც იტალიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „უნიტა“ აღნიშნავს, „დღეს პრობლემა ის არის, რომ ნამდვილად უზრუნველყონ საპარლამენტო უმრავლესობის ფუნქციონირება, ცხადყონ, რომ არ გამქრალა არც მისი შეკავშირება, ორი გეოგრაფიული და სხვა თვალსაზრისით ერთმანეთისაგან დაშორებული სახელმწიფო ეკონომიკურ და ტექნიკურ თანამშრომლობას ამყარებს. ასეთი ურთიერთობა, რომლის განვითარებაზეც ლაპარაკია სრულიად ევროპის თაობირის საბოლოო აქტშიც, მხოლოდ მისასალმებელია. მაგრამ არის ერთი რამ.

დასავლეთ ევროპაში ახლა ერთდროულად ჩანეთის რამდენიმე დელეგაცია იმყოფება. 20-კაციანი ჯგუფი, რომელსაც გუ მუ ხელმძღვანელობს, აპირებს საფრანგეთის გარდა ეწვიოს აგრეთვე შვეიცარიას, დანიასა და გერმანიის შესახებ“. გაზეთმა საფრანგეთში რაკეტების შესყიდვას „პეკინის უდიდესი გარიგება“ უწოდა დასავლეთში იარაღის შეძენასთან. რეიტერის საგენტოს მონაცემებით, შესყიდვის თანხა რამდენიმე მილიარდ დოლარს შეადგენს.

მწვავედ აკრიტიკებს რა პეკინთან სამხედრო კონტრაქტებს, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების დემოკრატიული პრესა წერს, რომ საქმე ეხება თანამედროვე იარაღის მიწოდებას იმ „უნიკალური“ რეჟიმისათვის, რომელიც — მთელ მსოფლიოში ერთადერთი — ხალხად აცხადებს მესამე მსოფლიო ომის გარდუვალობას, დაუცხრომლად ეწევა იკონომიკის მილიტარიზაციას და თავის „მთავარ მტრად“ აშკარად ასახელებს ხაბჭოთა კავშირსა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს.

ამიტომ ხომ არ არის, რომ დასავლეთის რეაქციული წრეები ასეთი სიხარულითა და მზადყოფნით გამოდიან ჩინეთთან სანდოთო ალიანსის ყოველნაირი გაფართოებისათვის? მაგ

რეჟისორის უკვდავება

„სანდრო ახმეტელი“, მასალებისა და დოკუმენტების კრებული

ქართულ საბჭოთა თეატრმცოდნეობაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავებრა დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის შემოქმედების შესწავლამ. ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა ორმოცდაათიან წლებში და იმ დიდან მოიდებული დღემდე ბევრი ნარკვევი, სტატია და წიგნი მიეძღვნა ქართული თეატრის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის ღირსეულ მოწაფეს, ეროვნული თეატრის შექმნისათვის თავდადებულ მებრძოლს.

სანდრო ახმეტელის შემოქმედების შესწავლის სირთულეს იწვევდა ის, რომ მის შესახებ ბევრი რამ მივიწყებული იყო და უდავო ფაქტებიც კი საკამათო ხდებოდა. მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ამ მეტად მძიმე საქმეს მოჰკიდეს ხელი — დაიწყეს ახმეტელის შემოქმედების შესწავლა. მათ შორის იყვნენ თეატრმცოდნეები ნინო შვანგირაძე და ვასილ კიკნაძე, რომლებმაც ბევრი საყურადღებო ნაშრომი შექმნეს მოდამ ახლის მაძიებელ რეჟისორზე.

ნინო შვანგირაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დიდი გულისყურით, გაბედულად, თანმიმდევრობით და, რაც მთავარია, პროფესიონალი მკვლევრის „თეთრსინდისიერებით აგროვებდა, სწავლობდა და აქვეყნებდა დოკუმენტებს, რომლებიც ნათელს მოჰფენდა სანდრო ახმეტელის რთულსა და საინტერესო შემოქმედებას. ჩვენ ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ ვიხილეთ ნინო შვანგირაძის მიერ შედგენილი დოკუმენტური მასალების კრებული და იმ დროისათვის ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ავტორი ყამირს ატეხდა, რასაც ბევრი სიძნელე ახლდა. დღეს კი ჩვენ ხელთ გვაქვს მის მიერვე შედგენილი დიდტანიანი კრებული („სანდრო ახმეტელი“, მასალებისა და დოკუმენტების კრებული. რუსულ ენაზე. რედაქტორი ნ. ბურაბანიძე. 534 გვ., გამომცემლობა „ხელოვნება“), კრებული, რომელიც იხსნება ნინო შვანგირაძის საინტერესო გამოკვლევით, დიდი რეჟისორის დაბადების 90-ე წლისთავს ეძღვნება.

საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ის უზარმაზარი დოკუმენტაცია, რომელიც ოკომენტაროდაც კი ნათელყოფს ახმეტელის რეჟისორულ ხელწერას.

კრებულში ოთხი განყოფილებაა: სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი მემკვიდრეობა; სანდრო ახმეტელის შემოქმედების კვლევა; მოგონებები სანდრო ახმეტელზე და მასთან მიმოწერა; რეცენზიები და ჟურნალისტი და ხელოვნების მოღვაწეთა გამონათქვამები.

შესავალში ნ. შვანგირაძე სამართლიანად წერს კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობის ამ მნიშვნელოვან მხარეზე, რითაც საქვეყნოდ აღიარებული რეჟისორი, რომ იგი იყო ნიჭიერი ახალგაზრდობის გამომძღვანელი და აზის გამკვლევი. ამის ოდავო მაგალითად ავტორი სხვებს შორის სანდრო ახმეტელსაც ასახელებს.

ჩემთვის, როგორც რეჟისორისათვის, განსაკუთრებით ფასეულია ამ კრებულის პირველი განყოფილება. სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, 1910 წლიდან. წარმოდგენილია სანდრო ახმეტელის ნარკვევები, კრიტიკული წერილები და რეცენზიები თეატრალური ხელოვნების შესახებ საერთოდ, კერძოდ კი, ქართული თეატრის მაშინდელი მდგომარეობისა და ისტორიის თაობაზე. ძირითადად ოცევ აქ ორის მოცემული ის თეორიული შეხედულებანი და სურვილები, რომელთაც რეჟისორი დაეყრდნო თავის შემდგომ მუშაობაში.

ამავე განყოფილების ეპისტოლარული ნაწილში ვხვდებით მისსავე წერილებს ისეთი ცნობილი მოღვაწეებისადმი, როგორნიც იყვნენ მ. იპოლიტოვ-ივანოვი, კ. მარჯანიშვილი, ვ. გუნია, ა. გლებოვი და სხვ.

წიგნის მეორე განყოფილება შედგება ძირითადად ისეთ ავტორთა გამოკვლევებისაგან. რომლებიც პირადად მუშაობდნენ ამ რეჟისორთან და ნახიარები იყვნენ მის შემოქმედებას, ან დოკუმენტურად შეისწავლეს მისი მემკვიდრეობა და კაპიტალ რიგი საკითხები. ამ ავტორთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ალეკ ბორავლევი და თამარ წულუკიძის ნარკვევები, რომლებიც გვაცნობენ სანდრო ახმეტელის მუშაობის რეპეტიციებზე და სპექტაკლის რიტმის საკითხებს.

კრებულის ნაწილი, სადაც მოგონებებია წარმოდგენილი, ახმეტელს კვისურათებს, როგორც დიდ შემოქმედს. დაუცხრომელ მებრძოლს ეროვნული თეატრის წინსვლისათვის, აღამიანსა და მეგობარს. აქ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს დიმიტრი შოსტაკოვიჩის. შალვა დადიანის, ოერი ოუზოვსკის, შალვა ნუცუბიძის, ვახტანგ ჭაბუკიანის, სანდრო შანშიაშვილის, დიმიტრი ალექსიძის და სხვათა წერილები.

სანდრო ახმეტელი, როგორც ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი, ხალხთა შორის მეგობრობისათვის დამაშვრალი, მწერლობის დიდი მოამაგე და ქართული თეატრის საქართველოს გარეთ წარმომჩენი, შთამბეჭდავად არის დახასიათებული ხალხმა პაოლო იაშვილის, ვსევოლოდ ივანოვის, სამოელ მიხოელსის, მიხეილ ჯავახიშვილის, ვსევოლოდ მეიერხოლდის და სხვათა პირადი წერილებში.

ცნობილია, რომ სანდრო ახმეტელის აღწერილნაგალე შემოქმედების აღიარების ვიერგვინი იყო 1930 და 1933 წლებში მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში საგასტროლო მოგზაურობა. ამ დროს გასაგებია, რომ ამ ზღვა მასალას დასჭირდებოდა შენიშვნები და კომენტარები, რაც შემდგენელს საკმაოდ ვრცლად მოუცია სქოლიოებში. ეს ადგილებს წრეკნის ათვისებას. მიგვაჩნია, რომ ასეთი აკადემიური წიგნისათვის სრულიად საკმარისია გარკვეულ წარმოდგენილი სანდრო ახმეტელის სურათი, რომელიც მხატვარს (ო. ჯიშკარიანი) მშვენივრად მიუგნია წიგნის ხელთნა გაფორმებისათვის.

კრებულში გამოქვეყნებულმა მრავალმა მასალამ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვიოს, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ამ წიგნში დოკუმენტურად დაგვანახვა ახმეტელი, როგორც დიდი შემოქმედი რეჟისორი. აქ ახმეტელი პირველად წარმოდგა, როგორც მრავალმხრივი მოღვაწე.

ეს წიგნი საუკეთესო ძღვენია მკითხველისათვის. მით უფრო, რომ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული კრებული ფართო მასშტაბით გააცნობს მკითხველს ქართულ თეატრალურ ხელოვნებას და მის უკვდავ მოღვაწეს სანდრო ახმეტელს.

გ. ლორთქიფანიძე,

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

გ. ალექსი-მესხიშვილი

— საქართველო ოსტატი, სამეცნიერო-ტექნიკური [illegible] ბოლოდ მძიმე დანაკლისი განიცადა — 66 წლისა უეცრად გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, მთავარი სპეციალისტი გიგი შალვას ძე ალექსი-მესხიშვილი.

გ. მესხიშვილი დაიბადა 1912 წლის 28 მაისს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1937 წ. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი.

მთელი თავისი შრომითი საქმიანობა გ. ალექსი-მესხიშვილმა საქართველოს ენერგეტიკის მრეწველობის დარგების განვითარებას მოუძღვნა. ამ სფეროში სხვადასხვა სპასუხისმგებლობიან შუამავლობა მან 40 წელზე მეტი იმუშავა. იყო „საქენერგოპროექტის“ მთავარი ტექნოლოგი, უალკოჰოლო სასმელების ქარხნისა და „საქმინწყლის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი, საქართველოს ენერგეტიკის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ხოლო 1964 წლიდან, პერსონალური პენსიაზე გასვლამდე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების გამგე და ჯოლეგიის წევრი.

საინჟინრო, სამეცნიერო და ხარისგანიზაციო მოღვაწეობასთან ერთად გ. ალექსი-მესხიშვილი დიდ ბედგიგერურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1947 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. ალექსი-მესხიშვილი კითხულობდა ლექციებს.

გ. ალექსი-მესხიშვილი იყო ბევრი სამეცნიერო-ტექნიკური, სამეცნიერო საბჭოს და საზოგადოების წევრი. ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციაში. წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის წყალბურთის ფედერაციას.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა გ. ალექსი-მესხიშვილის მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას. რაც მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა.

გ. ალექსი-მესხიშვილის, უსაზღვროდ გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანის, დიდი პატრიოტის და საყოველთაო სპეციალისტის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში. ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი: საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტრო: საქართველოს სსრ ჩორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო: საქართველოს სსრ ბინამინისტრო: სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო: კვების მრეწველობის მუშაკთა პროფსაბჭოს რესპუბლიკური კომიტეტი.

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატი და ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი

გიგი შალვას ძე ალექსი-მესხიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ!

თემატური რადიოდღე

23 მაისს საქართველოს რადიო აწყობს მორიგ თემატურ დღეს დევიზით „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“. მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე ამ დღეს გამოვლენ რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც მსმენელებს უამბობენ, თუ როგორ გრძელდება და კიდევ უფრო ვითარდება ინტერნაციონალისტური ტრადიციები მშრომელთა სახელოვან საქმეებში, რა დიდი ნაყოფი მოაქვს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობასა და მეგობრობას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას.

თემატურ რადიოდღეს გამოყენებულია რადიოჟურნალისტიკის მდიდარი არსენალი. მსმენელებს მათთვის მოსახერხებელ დროს შეუძლიათ მოუსმინონ პუბლიცისტურ გამოსვლებს, რადიონარკვევებს, რეპორტაჟებს, რადიომოთხრობებს, ინტერვიუებს, ლიტერატურულ და მუსიკალურ რადიოკომპოზიციებს. რადიოსადგურ „სიქბატკის“ მთელი გადმოცემება ეძღვნება ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდობის შრომასა და ცხოვრებას, შემოქმედებითს ძიებასა და აღმაფრენას.

ინტერნაციონალიზმის, ხალხთა დიადი მეგობრობის ცხოველმყოფელმა ძალამ რესპუბლიკის რუკაზე წარმოშვა ახალი ქალაქები, ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის ახალი დარგების განვითარებას. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიერ გამოშვებული სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქციის ყოველი სახეობა, ხალხის ნიჭით შექმნილი სულიერი ღირებულებანი მონოლითურ შრომით კოლექტივებად შეკავშირებულ ახვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ინტელექტუალური და ფიზიკური შრომის ნაყოფია. ყოველივე ამის შესახებ მოთხრობილია ძველი ბოლშევიკის დავით ლომაძის პუბლიცისტურ საუბარში „ინტერნაციონალიზმის მძლავრი მამოძრავებელი ძალა“.

ახალი სოციალისტური ქალაქი რუსთავი. ხალიც ერთმანეთის მხარდამხარ ცხოვრობენ და შრომობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, შექმნილია მთელი საბჭოთა ხალხის მარჯვენით, გულითა და გონებით. „ორმოცი ძმის ქალაქი“ — ასეთია თემა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრის წარჩინებული მეფოლადის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვლადიმერ მეტრეველის საუბრისა, რომელშიც დამაჯერებლად და ხალფუძვლიანად არის მოთხრობილი, თუ რა დიდი სიკეთე მოაქვს საბჭოთა ადამიანების ძმობასა და მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკურ ხისტემას. მომწიფებული სოციალიზმის ეკონომიკა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის მატერიალური საფუძველია. საბჭოთა საქართველოს მშრომელებს მიაჩნიათ, რომ მათი ინტერნაციონალური მოვალეობაა მაქსიმალურად ამრავლონ საკუთარი წვლილი ჩვენი ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებაში. სწორედ ამ საკითხებს აშუქებს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვალერიან მელქაძის საუბარი „სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ეკონომიკური საფუძვლები“.

რადიომსმენელები მოისმენენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ევგენი ხარაძის ინტერვიუს თემაზე: „მეგობრობას არა აქვს საზღვარი“.

მტკიცე მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს გორის რაიონის მშრომელებს მოსკოვის ოქტის რამენსკოეს რაიონის მშრომელებთან. ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ერთმანეთთან ჩაბმული, რაც დიდად უწყობს ხელს შრომითს აღმავლობასა და მაღალი მაჩვენებლების მოპოვებას. ამ რაიონების მშრომელთა ტრადიციულ მეგობრობასა და სოციალისტურ შეჯიბრებას ასახავს რადიონარკვევი, რომელიც „სოფლის დილაში“ გადაიცემა.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშენებელი იცნობს და პატივს სცემს ცნობილ მოსკოველ მშენებელს, სოციალისტური შრომის გმირს ნიკოლოზ ზლობინს, რომელსაც საქართველოში მრავალი მიმდევარი ჰყავს. ამ შესანიშნავი თაოსნობის დიდ ძალასა და მეგობრობას აშუქებს რადიომოთხრობა „ზლობინელები“.

საქართველოს რადიოს შემოღებული აქვს მუდმივი რუბრიკა „მეგობრები გვიზიარებენ გამოცდილებას“. ამ რუბრიკით სისტემატურად გადაიცემა მოძმე ხალბოთა რესპუბლიკებიდან მიღებული სხვადასხვა ჟანრის მასალები.

ამ დღეს მსმენელებს საშუალება აქვთ მოისმინონ მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უნგენის აგროსამრეწველო გაერთიანების გენერალური დირექტორის მიხეილ დერმენჟის საუბარი „აგროსამრეწველო გაერთიანება საზოგადოებრივი წარმოების ახალი ფორმა“.

თემატური დღე მდიდარია ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემებით. თქვენ მოისმენთ მაზარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის მიხაკო ორაგველიძის წიგნის „მეგობრობის“ მიხედვით მომზადებულ რადიოდადგმას.

მაშ ასე, ამხანაგო რადიომსმენელებო! საქართველოს რადიო გიწვევთ რეპრიოდუქტორებთან და რადიომომლებებთან. გადაცემების მოსმენის შემდეგ, ბუნებრივია, ბევრ თქვენგანს დაებადება სურვილი გაგზიაროს თავისი შთაბეჭდილებები. ჩვენი მისამართია: თბილისი — 15, ლენინის ქ. № 68, საქართველოს რადიო. ველით თქვენს წერილებს.

გ. თევზაძე,

საქართველოს რადიოს პროპაგანდის რედაქციის მთავარი რედაქტორი.

შემთხვევა ჰაერში

მიმდინარეობდა ჩვეულებრივი საწვრთნელი ფრენა. სამხედრო მფრინავები სწავლობდნენ დედამიწის ხამიზნეების დაბომბვასა და სროლას.

პირველი წყვილის ხელმძღვანელმა მაიორმა ალიოხინმა მოულოდნელად შენიშნა დიდი ჩიამების გუნდი. ფრინველები მის შესახედრად მოფრინავდნენ.

ალიოხინმა საჭის სახელურს თავისკენ მოსწია და თვითმფრინავმა ფრინველთა გუნდს ზევიდან გადაუფრინა. მფრინავმა შეიგრძნო ამოსუნთქვა, იფიქრა, რომ ფრინველის საფრთხე უკვე გავლილი იყო და უცებ... ძლიერი დარტყმების შიდეგად საბრძოლო მანქანა შეზანზარდა. პილოტის კაბინაში ჩამობნელდა. სამზერ მინაში არაფერი არ ჩანდა. — იგი მთლიანად დაეფარა სისხლით გასვრილ ბუმბულებს.

— ვერაფერს ვერ ვხედავ, ფრინველს შევეჯახე. ძრავა ნორმალურად მუშაობს, — აცნობა მან რადიოთი ფრენის ხელმძღვანელს. შემდეგ მფრინავმა ერთხელ კიდევ ყურადღებით დაათვალიერა მინა და პატარა ჭეშტრუტანა შენიშნა, რომლითაც რაღაცის დანახვა მაინც შეიძლებოდა. კვლავ რადიოსადგური ჩართო გადასაცემად:

— გთხოვთ დაჯდომის ნება მომცეთ.

— ნებას გაძლევთ — გაისმა პასუხად.

და აი, აეროდრომიც გამოჩნდა. იერი ალიოხინმა თვითმფრინავი დამრეცად წაიყვანა და ვიწრო მინის ჭუჭრუტანაში ოდნავ გაარჩია ასფალტი ზოლი. მიხვდა, რომ დაჯდომა თითქმის ბრმად მოუწევდა.

ეს იყო არაჩვეულებრივი და სარისკო დაჯდომა. მას თვალს აღვენებდა ბევრი გამოცდილი სპეციალისტი. თითოეული ცდილობდა ფრენის ხელმძღვანელის საშუალებით მფრინავს დახმარებოდა.

როცა თითქმის დედამიწას მიუახლოვდა მფრინავმა ძრავა გამორთო. აი დასაჯდომი ზოლის ბეტონის ბილიკიც. თვითფრინველმა მასზე გაირბინა და შეჩერდა... ესკადრილიის მეთაურის მოადგილე პოლტავკინ ნაწილში მაიორი ალიოხინი წვრთნის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით და „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ მესამე ხარისხის ნიშნით არის დაჯილდოებული. „ბრძად დაჯდომისათვის“ ოლქის ავიაციის სარდალმა იგი ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვა. ახლახან კი ი. ალიოხინს ვადამდე მიენიჭა „პოდპოლკოვნიკის“ მხედრული წოდება. (საქინფორმი).

კრივი

კუბელები — უძლიერესნი

ბელგრადში დამთავრდა მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვეს კუბელებმა. მათ გუნდურ პირველობასთან ერთად 5 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი მოიხვეჭეს. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: სტიფენ მუჩოკი (კენია), ჰენრიკ სრედნიცკი (პოლონეთი), ადოლფო ორტა, ანხელ ერერა (ორივე — კუბა), ანდე დევიდსონი (ნიგერია), ვალერი ლვოვი, ვალერი რაჩკოვი, ვიქტორ სავჩენკო (სამივე — სსრ კავშირი), ხოსე გომესი, სიქსტო სორია და თეოფილო სტივენსონი (სამივე — კუბა).

საბჭოთა მოკრივეთაგან ვერცხლის მედალი წილად ხვდა ვლადიმერ სოროკინს (60 კგ), ხოლო ბრინჯაოსი — ალექსანდრე მიხაილოვს (51 კგ) და ნიკოლოზ ეროფეევს (81 კგ).

ფეხბურთი

მერვე ტური

გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტური. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

დღეს ერთმანეთს ხვდებიან: „არარატი“ (ერევანი)-„კაირატი“ (ალმა-ათა), „ნეფთჩი“ (ბაკო)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა)-„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „წარია“ (ვოროშილოვგრადი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი), ცსკა-„ტორპედო“ (მოსკოვი).

თბილისის „დინამო“ მიიღებს დონეცკის „შახტიორს“. საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში თბილისელები და დონეცკელები ერთმანეთს შეხვდნენ 54-ჯერ. აქედან თბილისელებმა 26 მატჩი მოიგეს, 15 ფრედ დაამთავრეს და 13 შეხვედრა წააგეს. ბურთები — 83:59 თბილისელთა სასარგებლოდ.

გუშინ გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 1:0. გოლი გაიტანა მინაშვილმა.

ხვალ მერვე ტურის ბოლო მატჩში ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვისა და კიევის დინამოელთა გუნდები.

„ტორპედო“ მეორე ადგილზეა

ქუთაისის „ტორპედომ“ მეათე ტურის მატჩი გამართა ხტუმრად — სიმფეროპოლის „ტავრიასთან“. ეს შეხვედრა ერთობ დაძაბულად წარიმართა და ფრედ — 2:2 დამთავრდა.

ტურის დასაწყისი მატჩების შედეგები ასეთია: „კუბანი“ (კრასნოდარი)-„მინაკი“ (იაროსლავლი)—3:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)-„დინამო“ (ლენინგრადი) — 1:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)-„დინამო“ (მინსკი) — 1:0, „უუბანი“ (კრასნოდარი)-„ქალგირისი“ (ვილნიუსი) 1:2, „თერგი“ (გროზნო)-„კარპატი“ (ლვოვი) — 2:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)-„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — 0:1, „პამირი“ (დუშანბე)-„ცსკ“ (ოდესა) — 0:0, „კოლხეთი“ (აშხაბადი)-„ნისტრუ“ (კიშინიოვი) — 1:2.

გათამაშების ლიდერია „კრასნოდარის „ყუბანი“, რომელსაც 9 თამაშიდან 14 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ქუთაისის „ტორპედო“ — 13 ქულა (10 თამაშიდან).

ველოსიპედი

ვაშინგტონში იასპარეზება

ერევანში გამართულ იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში სპრინტერთა შორის უძლიერესი იყო თბილისელი გელიმრბოლელი გ. დავალაშვილი. იგი სსრ კავშირის ნაკრებშია შეყვანილი და ივნისში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს. ეს შეჯიბრება ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში გაიმართება.

ტანვაჭრობაში

ორი ჩემპიონი

**მხატვრულ ტანვაჭრობაში მსოფლიოს ახსოლუტურმა ჩემპიონმა კი